აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 17

06/09/2020 **ქ. ბათუმი**

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის, იმ საოლქო საარჩევნო კომისიების და მათი უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ ახორციელებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას“ N53/2020 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში №79; №80; №81; №82; №83 და №84 საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებზე და კომისიის წევრებზე ყოველთვიურად გაიცეს თანამდებობრივი სარგო და ყოველთვიურად გასაცემი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ №299/2017 განკარგულებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი